THE POPULATION OF THE VILLAGE OF VARIANI IN THE SEKOND HALF OF THE 19TH CENTURY

სოფელ ვარიანის მოსახლეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

DAVID AKHLOURI

Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract. The paper discusses the population of the village of Variani in the sekond half of the 19th century. The historical and geographical environment of the village, the roads there and their importance in the political and economic life of both Shida Kartli and the country are reviewed.

Attention is paid to the first information about Variani, dating back to the second half of the 17th century; as is known, in 1656, the last representative of the Bagrationi dynasty of Kartli, King Rostom (also known as Khosro Mirza, Kaikhosro Batonishvili), granted an estate in Variani to the Machabeli.

Other important decrees of Georgian kings and feudal lords about Variani, the famous historian and geographer Vakhushti Batonishvili and the "Notes" of the German traveler, a participant in the expedition of the Imperial Academy of St. Petersburg, Johann (Anton) Guldenstedt, are also important.

The Great Book of the Tbilisi Province of 1728 contains noteworthy information about the population of Variani, where Variani is mentioned in the Gori Livas of the Satsitsiano Nahiya. The Turkish source allows us to determine the demographic and economic situation of the village, as well as social relations. In this regard, Ioane Bagrationi's description of the Kartli-Kakheti Kingdom in 1794-1799 is also noteworthy.

As for the demographic situation in Variani in the sekond half of the nineteenth century. The study analyzed the data of the cameral censuses of 1860, 1873 and 1886 where we find different categories of peasants at that time: treasury, sabaton and church.

Historically, serfs in Variani belonged to: Machabeli, Kherkheulidze, Amilakhveri, Eristavi, Gankar Bortishvili of Machabeli and other feudal lords. The census shows the mutual relationship between the serfs and peasants, the number of sabatoni and purchased lands of the peasants, the income received from the estates in the form of bread and wine, and other sources of income.

The past is compared with the present.

Key words: Variani population, funds, chamber lists, household, Machables, Sabatono estate, Sabatono, treasury and church serfs.

დავით ახლოური

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია სოფელ ვარიანის მოსახლეობაზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მიმოხილულია სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო, იქ არსებული გზები და მათი მნიშვნელობა როგორც შიდა ქართლის, ისე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ყურადღება ეთმობა ვარიანის შესახებ არსებულ პირველ ცნობებს, მოყოლებულს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან; როგორც ცნობილია, 1656 წელს, ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელ წარმომადგენელს როსტომ მეფეს (იგივე ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი) მაჩაბლებისთვის ვარიანში მამული უბოძებია.

ვარიანის შესახებ მნიშვნელოვანია ქართველ მეფეთა და ფეოდალთა სხვა განჩინებანი, ცნობილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილისა და გერმანელი მოგზაურის, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ექსპედიციის მონაწილის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის „ჩანაწერები“.

ვარიანის მოსახლეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, სადაც ვარიანი მოხსენიებულია საციციანოს ნაჰიეს გორის ლივაში. თურქული წყარო საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სოფლის დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური ურთიერთობები. ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია იოანე ბაგრატიონის 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერა.

რაც შეეხება უშუალოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვარიანში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას, საკითხის კვლევისას გაანალიზებულია 1860, 1873, 1886 წლების კამერალური აღწერების მონაცემები, სადაც იმ დროისთვის გლეხთა სხვადასხვა კატეგორიებს ვხვდებით: სახაზინო, საბატონო და საეკლესიო.

ისტორიულად ვარიანში ყმები ეკუთვნოდათ; მაჩაბლებს, ხერხეულიძეებს, ამილახვრებს, ერისთავებს, მაჩაბლების განაყარ ბორტიშვილებს და სხვა ფეოდალებს. აღწერებში ნაჩვენებია მებატონეთა და გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულება, გლეხთა საბატონო და ნასყიდი მიწების რაოდენობა, მამულებიდან მიღებული შემოსავალი პურისა და ღვინის სახით, შემოსავლის სხვა წყაროები.

წარსული შედარებულია თანამედროვეობასთან.

საკვანძო სიტყვები: ვარიანის მოსახლეობა, ფონდები, კამერალური სიები, კომლი, მაჩაბლები, საბატონო მამული, საბატონო, სახაზინო და საეკლესიო ყმები.

შესავალი

ვარიანი შიდა ქართლის უძველესი ქართული სოფელია, სადაც 1840 წელს დაიბადა დიდი ქართველი მწერალი, ეროვნული მოღვაწე, ქართული პედაგოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი.

მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა მხარეს, გორიდან 12 კილომეტრის დაშორებით. ვარიანზე გადის გორი-ნიქოზი-ცხინვალის საავტომობილო გზა.

„პატარაა და ღარიბი ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს. მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე მზის სინათლე, იქ გავატარე ჩემი ბავშვობის ბედნიერი დღეები, იქ ვტკბებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი;

იქაურ მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მოვყავდი; იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხი. იქვე, სასაფლაოზე მარხია ჩემი ძვირფასი დედ-მამა, ძმები, ნათესავები“ - წერდა იაკობი **(ახლოური, 2025 ა: 108).**

ვარიანის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“: *„ლიახვს დასავლით რუისის მთის ძირს, არს თედოწმინდა. მცირედ მას ზეით ერთვის დასავლეთიდამ ლიახუს ვარიანის ფშანი და ახალდაბისა. ამ ფშანსა შინა იპყრობის კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი. ვარიანს ზეით ერთვის ლიახუს აღმოსავლეთიდამ პატარა ლიახვი."* **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 369).**

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც 1768-1775 წლებში იმოგზაურა საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონებში, დიდი ლიახვის ზემოდან ქვემოთ მდებარე სოფლების რიგში ასახელებს ვარიანს, რომელიც, მოგზაურის მითითებით, ლიახვის ქვემო დინებაზე მდებარეობს **(გიულდენშტედტი, 1962: 279).**

ისტორიულ წყაროებში ვარიანის შესახებ პირველი ცნობებს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვხვდებით. 1656 წელს, ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელ წარმომადგენელს, როსტომ მეფეს (იგივე ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი) მაჩაბლებისთვის მამული უბოძებია **(ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1984: 25).** თუმცა აქ მოსახლეობა ადრიდანვე მკვიდრობდა. სოფლის დასავლეთით, ნახევარი კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს გვიანდელი ფეოდალური ხანით დათარიღებული კოშკი, რომელიც ცილინდრულია და საცხოვრებელ-სათავდაცვო ნაგებობას წარმოადგენდა. კოშკი სამსართულიანი იყო... მტრის გამოჩენისას კოშკის თავზე ცეცხლს ანთებდნენ და მინდორში მომუშავე გლეხებს თავდასაცავად უხმობდნენ. კოშკის მახლობლად, ლელისთავებად წოდებულ ტერიტორიაზე რიყის ქვით აგებული შენობების საძირკვლის კვალი იკვეთება. 1973-1974 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კასპის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით მოაწყო ვარიანის მიდამოების დაზვერვა. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და ვარიანის კოშკის ახლოს აღმოჩნდა რიყის ქვით ნაგები შუა საუკუნეების კედლები, სადაც მიაკვლიეს საყოფაცხოვრებო ნივთებს, მათ შორის წითლად გამომწვარ უხეშკეციან თიხის ჭურჭელს, ქვევრის ნამტვრევებს და სხვა. ნასოფლარიდან მოსახლეობის აყრის მიზეზად XVIII საუკუნეში გახშირებულ ლეკიანობას მიიჩნევენ. დაღესტნელ ფეოდალთა ორგანიზებით მოწყობილ თავდასხმებს ქართლსა და კახეთზე, რომლის მიზანიც გახლდათ ტყვეების გატაცება, საქონლისა და ჭირნახულის მითვისება... მძიმე შედეგები მოსდევდა როგორც ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით. იმ ავბედითმა ჟამმა არაერთი ქართული სოფელი აქცია ნასოფლარად.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანას მიეკუთვნება სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფუტუროებში, სასაფლაოს ტერიტორიაზე რიყის ქვით აგებული დარბაზული ეკლესია. ნასოფლარის ნაშთები, თიხის ჭურჭლის ნამტვრევებთან და დიდი ქვევრის ფრაგმენტებთან ერთად, ფუტუროების ტერიტორიაზეცაა.

ღვთისმშობლის კიდევ ერთი, მიძინების სახელობის ტაძარი დგას სოფლის ცენტრში. ეკლესიის სამხრეთ კარს ზემოთ გამოსახულ ჯვარს შუა სამშენებლო წარწერაა, რომლის მიხედვით, იგი აშენებულია 1835 წელს:

„ჩყლე წე(-)

ლსა

აღვაშენეთ

ეს ღვთის

მშობლ(ი)ს ტ(ა)-

ძ(ა)რი ერთო(-)

ბ ვარიანში

ცხოვრებთა“ **(მეგრელიძე, 2024: 78).**

რიყის ქვითა და აგურით ნაგებ დარბაზულ ეკლესიას, კომუნისტების დროს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის საწყობად იყენებდნენ **(საქართველოს ისტორიის... 1990: 66).**

ღვთისმშობლის ეკლესიის ახლოს მდგარა სამი მრგვალი კოშკი, რომლებიც XX საუკუნეში დაუნგრევიათ. სალოცავის მახლობლად მომდინარე წყარო კი 1920 წელს მოუპირკეთებიათ.

სოფლის სიძველეზე მიგვანიშნებს კიდევ ერთი ნასოფლარი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის დაშორებითაა. ნასოფლარის ტერიტორია

წყაროსთავების სახელითაა ცნობილი. რიყის ქვით ნაგები სახლის ნანგრევები, საყოფაცხოვრებო ნაშთებთან ერთად გვიანფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. XVIII საუკუნეში ლეკთა შემოსევების გამო აყრილი მოსახლეობის ადგილი, XIX საუკუნეში რაჭიდან გადმოსახლებულ კერესელიძეებს დაუკავებიათ, რომლებიც დღევანდელ ვარიანის ტერიტორიაზე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მკვიდრდებიან **(საქართველოს ისტორიის... 1990: 66)..**

ისტორიული წყაროების ანალიზიდან ჩანს, რომ სხვადასხვა დროს, ვარიანში ყმები და მამულები ეკუთვნოდათ: მაჩაბლებს, ურბნელ ეპისკოპოსს, ამილახვრებს, ფალავანდიშვილებს, თულაშვილებს, აზნაურ ვასილ კობახიძეს, სოლომონ მგალობელს, მეთოდი მდივანბეგს **(ახლოური, 2025 ა: 108-134)...**

ვარიანში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებასთან დაკავშირებით პირველ ვრცელ და სრულყოფილ ინფორმაციას თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში ვეცნობით, რომლის მიხედვით სოფელში ცხოვრობდა 33 კაცი, მათ მფლობელობაში იყო 20 დღის სამეუფეო ვენახი, 20 დღის მიწა. გადასახადს იხდიან მარცვლეულ კულტურებზე: ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე ფეტვზე... ასევე მიწაზე, ვენახზე, ერბოზე, წისქვილებზე... მსხვილფეხა საქონლის გარდა ჰყოლიათ ცხვარი და ღორი, მისდევდნენ მეფუტკრეობას და მათზე დაკისრებულ გადასახადებსაც იხდიდნენ **(თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2009: 173-174).** .

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერის, ლექსიკოგრაფის იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში (1794-1799 წლები) ვარიანი იმ სოფლებს შორისაა, რომლებიც მიეწერება: *„ქ. ქრცხინვალის ხეობასა და სამაჩაბლოს ხეობას, რაც სოფლები სამეფო, სათავადო, სააზნაურო, საეკლესიო და დიდის ლიახვით ირწყვის."* **(ბაგრატიონი იოანე, 1986:41).**

XIX საუკუნის პირველი ნახევრის აღწერების მიხედვით სოფელ ვარიანში ცხოვრობდნენ: მაჩაბლები, გოგებაშვილები, აბულაძეები, გვარამაძეები, არეშიძეები, სტეფანიშვილები, კოკაურები, ბუგულაძეები, აბრამაშვილები, ქესუაშვილები, დიაკვნიშვილები, კერესელიძეები, ხუციშვილები, კოზაშვილები, სირბილაძეები, ადუაშვილები, მამულაშვილები, დგებუაძეები, ბედიანაშვილები, ზუბიაშვილები (ზუბაშვილები), მეგრელიშვილები, ხიზანაშვილები (ხიზანიშვილები), ქებაძეები, დიაკვნიშვილები, უჯამერლიშვილები (ურჯუმელაშვილები), უჯარმელები, ბერძენაშვილები (ბერძენიშვილები), ბუზალაძეები, ცოტაშვილები, ჯინიყაშვილები, ფაცინაშვილები და სხვები...

თუ რა მდგომარეობა იყო სოფელში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ამის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი ცნობები მოგვეპოვება 1860, 1873 და 1886 წლების კამერალურ აღწერებში.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ შიდა ქართლის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ვარიანში საუკუნეების მანძილზე არსებული დემოგრაფიული ვითარება, დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება განვსაზღვროთ იქ არსებული ისტორიული რეალობა... ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ნაშრომში მოძიებულია ვარიანის შესახებ არსებული ისტორიული ცნობები. მიმოხილულია ხუროთმოძღვრული ძეგლები, გარესამყაროსთან დამაკავშირებელი გზები. გაანალიზებულია საუკუნეების მანძილზე სოფელში არსებული სოციალური ურთიერთობები, გლეხთა კატეგორიები, ეკონომიკური ყოფა, დემოგრაფიული და რელიგიური მდგომარეობა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ ვითარებას. წყაროების დიდი ნაწილი ჩვენს მიერ პირველად ქვეყნდება, რაც მნიშვნელოვან სიახლედ მიგვაჩნია. შედეგად, ნაშრომში სრულყოფილადაა შესწავლილი შიდა ქართლის ერთ-ერთი ისტორიული ქართული სოფლის განსახილველი პერიოდის დემოგრაფიული ვითარება.

დისკუსია (მსჯელობა)

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის დამდეგიდან მეფის რუსეთი შეუდგა ფისკალურ-ეკონომიკური ხასიათის ცნობების მოძიებას... რუსული კამერალური აღწერები ხელისუფლების მიერ ფისკალური და სამხედრო მიზნით ჩატარებული სტატისტიკური დაკვირვება იყო, რომლის დროსაც აზუსტებდნენ დასაბეგრი და ჯარში გასაწვევი მოსახლეობის შესახებ არსებულ მონაცემებს. პირველი აღწერა 1804 წელს ჩატარდა, უკანასკნელი - 1886 წელს. აღწერებში ნაჩვენებია კომლების რაოდენობა და სულობრივი შემადგენლობა, ეროვნება, საქმიანობა, გლეხთა კატეგორიები, მებატონეებსა და ყმებს შორის არსებული სოციალური ურთიერთობები, საბატონო ან საეკლესიო სახნავი მიწების ფართობი, მარცვლეულისა და პირუტყვის რაოდენობა და ა.შ.

თითოეული აღწერა ერთმანეთისაგან განსხვავებული პრინციპებითაა შედგენილი, ჩანს, სისტემატურად მოწმდებოდა მონაცემები და ხდებოდა მათი კორექტირება. ზოგჯერ გამოტოვებული იყო კომლები, ამასთან, ერთი და იგივე ოჯახები გვხვდება სხვადასხვა სოფლებში. აღნიშნულის მიუხედავად, აღწერები შეიცავს ვრცელ და უნიკალურ მასალას XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების შესახებ.

საკითხის კვლევისას, პირველ რიგში 1860 წლის კამერალური აღწერის მონაცემებს უნდა გავეცნოთ, სადაც ნაჩვენებია: „რიცხვი კუმლთა“, „წოდება გლეხთა სახელდობრ“, „წელი“ (ასაკი), „რიცხვი დედაკაცთა“, „რომელი სარწმუნოებისაა“, ეროვნება და ა.შ.

ერთ სოფელში ყმები შეიძლება სხვადასხვა მებატონეებს ჰყოლოდათ, ამიტომ, აღწერები, მემამულეთა ყმებისა და მიწის მფლობელობის მიხედვითაა დალაგებული. აღწერებს ახლავს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი მინაწერები, სადაც საუბარია ჩატარების დროზე და მინიშნებაა, რომ გამორჩენილი კომლები არ არიან. თითოეულ წყაროს რომელიმე თავადი ან „აღმორჩეულნი კაცნი“ ადასტურებენ. „აღმორჩეულთა“ დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა, „მათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით“ ხელს წერა-კითხვის მცოდნე პირი აწერდა. ხელის ჩამორთმევა ნდობის ნიშანი იყო.

1860 წლის აღწერას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, სახელით, მამის სახელითა და გვარითაა ჩამოთვლილი მამრობითი სქესის წარმომადგენლები, მდედრობითი სქესის მხოლოდ რიცხვია მინიშნებული. აღწერაში ვხვდებით ტერმინებს: „ახალშობილი“, „გაშვებული იყო“... ახალშობილად ითვლებოდა პირი, რომელიც 1842-1843 წლების კამერალური აღწერის დროს დაბადებული არ იყო. ხოლო გაშვებული გულისხმობდა წინა აღწერის დროს გამორჩენილს ან გამოტოვებულს **(ახლოური, 2025 ბ: 4-5).**

აღწერები შესრულებულია ქართულ და რუსულ ან მხოლოდ რუსულ ენაზე. ქართულის თანმხლები რუსული ტექსტი კორექტირებულია, მაგალითად, გადახაზულია სოფლიდან გადასახლებული კომლები და ის პირები, რომლებიც ტექსტების კორექტირების დროს გარდაცვლილები იყვნენ. თუმცა ლაფსუსები ქართულ ტექსტებშიცაა და რუსულშიც, რის გამოც ვიყენებთ შედარებითი ანალიზის მეთოდს; ვადარებთ როგორც უშუალოდ 1860 წლის ქართულ და რუსულ ტექსტებს, ისე სხვადასხვა კამერალურ აღწერებს და ვიღებთ რეალურ სურათს მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემების შესახებ.

აღწერის დროს გლეხებს, უმეტესწილად, კნინობითი ფორმით მოიხსენიებდნენ, მაგალითად: გაბრიელა, სვიმონა, თამაზა, გრიგოლა, აბრამა და ა.შ. ნაშრომში საკუთარ სახელებს შესწორებული ფორმით ვაქვეყნებთ, რაც, გრამატიკული ნორმების დაცვის გარდა, წინაპართა სახელებისა და ხსოვნისადმი პატივისცემის გამოხატულებადაც მიგვაჩნია... ასევე ვაზუსტებთ წყაროში შეცდომით მითითებულ ზოგიერთ გვარს.

1860 წლის აღწერის დროს ვარიანი მიეკუთვნებოდა გორის მაზრის სურამის ნაწილს. აღწერა იწყება სახელმწიფო გლეხების ჩამონათვალით:

„გორის მაზრა, სურამის ნაწილი, სოფელი ვარიანი.

სახელმწიფო გლეხნი სახელმწიფო მამულზედ მდგმოიარენი“ (ქართულ-რუსული ტექსტი):

კომლი 1 (4). (ფრჩხილებში მოცემული ციფრი წინა აღწერის რიგით ნომერს აღნიშნავდა). გიორგი ვასილის ძე ქებაძე - 50 წლის, ამისი შვილები: 1. ივანე - 26 წლის, 2. ქრისტესია - 13 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 7 სულია: 3 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 2 (3). ივანე ანტონის ძე სირბილაძე - 30 წლის,

სულ ოჯახში 8 სულია: 1 მამრობითი და 7 მდედრობითი სქესის.

კომლი 3 (3). გრიგორ სირბილაძე - 40 წლის, ამისი ძმიშვილები: 1. პავლე - 14 წლის, ახალშობილი, 2. ზაქარია - 12 წლის, ახალშობილი, 3. დიმიტრი - 2 წლის, ახალშობილი.

გრიგორის შვილი ალექსანდრე - 1 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია, მამრობითი სქესის.

კომლი 4 (4). ესტატე (ანტონ) ვასილის ძე ბერძენაშვილი - 55 წლის, ამისი შვილები: 1. ივანე - 12 წლის, ახალშობილი, 2. ალექსი - 7 წლის, ახალშობილი.

ესტატეს ძმა დიმიტრი - 35 წლის.

ესტატეს ბიძაშვილი ბესარიონ იოსების ძე - 30 წლის. ამისი შვილი იოსები - 6 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 14 სულია: 6 მამრობითი და 8 მდედრობითი სქესის.

კომლი 5 (1). იოსებ გაბრიელის ძე ფაცინაშვილი - 35 წლის, ამისი ძმა მოსე - 25 წლის.

იოსების შვილები: 1. ნიკოლოზი - 5 წლის, ახალშობილი, 2. პეტრე - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია მამრობითი სქესის.

კომლი 6 (4). თევდორე ქებაძე - 39 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 7 (4). გიორგი ივანეს ძე ზანგალაძე - 20 წლის,

სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

სახელმწიფო მიწაზე ცხოვრობდა 7 კომლი, 21 მამაკაცი და 23 ქალი (44 სული). აქედან: ქებაძეები - 2 კომლი, 4 მამაკაცი, 7 ქალი (11 სული); სირბილაძეები - 2 კომლი, 6 მამაკაცი, 7 ქალი; ბერძენაშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 8 ქალი (14 სული); ფაცინაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი (4 სული); ზანგალაძეები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი (2 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

„საეკლესიო გლეხნი საეკკლესიოს მამულზედ მდგმოიარენი“:

კომლი 5 (1). ანდრია ლაზარეს ძე აბულაძე - 40 წლის, ამისი შვილები: 1. გიორგი - 8 წლის, ახალშობილი, 2. მიხეილი - 5 წლის, ახალშობილი.

ანდრიას ძმა თევდორე - 30 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია: 4 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 6 (2). გაბრიელ ზაქარიას ძე აბულაძე - 35 წლის, ამისი შვილი ზაქარია - 1 წლის, ახალშობილი.

გაბრიელის ბიძაშვილები: 1. ალექსი - 22 წლის, 2. დავითი - 19 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია: 4 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 7 (1). ლაზარე იოსების ძე აბულაძე - 23 წლის, ამისი ძმები: 1. პავლე - 15 წლის, ახალშობილი, 2. ბესარიონი - 14 წლის, ახალშობილი, 3. დიმიტრი - 5 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 7 სულია: 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

საეკლესიო მიწაზე ცხოვრობდა 3 კომლი, 12 მამაკაცი და 15 ქალი (27 სული). ყველა მათგანი აბულაძე იყო, ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები. XVIII- XIX საუკუნეების აღწერების მიხედვით ისინი ეკუთვნოდნენ სამთავისის ეკლესიას **(ჯავახიშვილი, 1974: 187; სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1243).**

სახელმწიფო და საეკლესო აღწერას ახლავს მინაწერი: „ზემოთ მოხსენებული შვიდი კომლი და მათ შორის სულნი მამრნი ოცდა თორმეტი და მდედრნი ოცდა ცხრამეტნი ამა სიასა შ(ინ)ა არიან ჩვენებულნი და არ არიან გაშვებულნი მარტის 11-სა დღესა. უკეთუ შემდეგ ამისა აღმოჩნდეს რაიმე შთამატებული ანუ გაშვებულნი, მაშინ ვიყვნეთ პასუხის მგებელნი საფუძველსა ზ(ედ)ა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელსა ზედაც ხელს ვაწერთ ვარიანის მამასახლისი ბერო დიაკვნისშვილი და აღმორჩეული ორი კაცი ტეტია ტეფანაშვილი და გიორგი ადუაშვილი. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ გიორგი ქებაძე“ (ხელმოწერილია).

სოლომონ, ალექსანდრე და კონსტანტინე კვალიევების (კვალიაშვილების) საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1 (1). ზაქარია გაბრიელის ძე არჩუაძე - 28 წლის, ამისი ძმა სვიმონი - 20 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 2 (1). ნინიკა გაბრიელის ძე არჩუაძე - 24 წლის.

სულ ოჯახში 3 სულია: 1 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

სოლომონ, ალექსანდრე და კონსტანტინეს საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ არჩუაძეები - 2 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი (7 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

„ს(ოფელი) ვარიანი.

გლეხი საბატონოს მამულზედ მცხოვრები კნეინა თავადი დავით ამირეჯიბის ქეთევანისა“:

კომლი 3 (3). გიორგი გიორგის ძე არეშიძე - 60 წლის,

ამისი შვილი დიმიტრი - 19 წლის,

სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 4 (3). ზაქარია გიორგის ძე არეშიძე - 25 წლის, ზაქარიას ძმა: ალექსი - 20 წლის, მისი შვილები: დავითი - 6 წლის, ახალშობილი, იოსები - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია, მამრობითი სქესის.

ქეთევან ამირეჯიბის საბატონო მიწაზე ცხოვრობდნენ არეშიძეები - 2 კომლი, 6 მამაკაცი, 3 ქალი (9 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

ქეთევანის ყმების ჩამონათვალს ახლავს მინაწერი: „ამა მოხსენებულს კომლში ირიცხება მამაკაცი ექვსი და დედაკაცი სამი. ამა სიასა შ(ინ)ა არიან ჩვენებულნი ჭეშმარიტებით ივლისის დღესა ჩყისა, უკეთუ შემდეგ ამისა აღმოჩნდეს რაიმე გაშვებულნი ანუ შთამატებულნი რაიმე, მაშინ ვიყვნეთ პასუხის მგებელნი საფუძველსა ზედან კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელსა ზედაც ხელს ვაწერ პოკრენია კნეინა ქეთევან ამირეჯიბის პოდპორუჩიკი თ~ა დავით ამირეჯიბი“.

იგორ ივანეს ძე ზუბალოვის (ზუბალაშვილის) მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 5 (1). დიმიტრი იოსების ძე ხვედიანელი - 16 წლის, ახალშობილი, ამისი ძმები: 1. გიორგი - 10 წლის, ახალშობილი, 2. მიხეილი - 8 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 6 (2). გაბრიელ ბესარიონის ძე ბედიანაშვილი - 35 წლის, ამისი ძმიშვილები: 1. გლახა - 7 წლის, ახალშობილი, 2. ივანე - 3 წლის, ახალშობილი.

გაბრიელის ბიძაშვილები, იაკობის ძენი: 1. ნიკალა - 8 წლის, ახალშობილი, 2. იაკობი - 2 წლის, ახალშობილი, 3. იოსები - 20 წლის.

სულ ოჯახში 12 სულია: 6 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 7 (9). გაბრიელ გიორგის ძე ხიზანაშვილი (ხიზანიშვილი) - 35 წლის, ამისი შვილები: 1. გიორგი - 7 წლის, ახალშობილი, 2. მიხეილი - 4 წლის, ახალშობილი.

გაბრიელის ძმები: 1. იოსები - 30 წლის, 2. დიმიტრი - 20 წლის.

იოსების შვილი ანდრია - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 9 სულია: 6 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 8 (10). გიორგი დავითის ძე ხიზანაშვილი (ხიზანიშვილი) - 32 წლის, ამისი ძმები: 1. ზაქარია - 25 წლის, 2. ანდრია - 20 წლის, 3. წყალობა - 15 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 7 სულია: 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 9 (10). გრიგორ ივანეს ძე ხიზანაშვილი (ხიზანიშვილი) - 35 წლის, ამისი ძმები: 1. იოსები - 32 წლის, 2. სოლომონი - 26 წლის, 3. გიორგი - 10 წლის, ახალშობილი.

გრიგორის შვილი ივანე - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 9 სულია: 5 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 10 (10). დიმიტრი ხიზანაშვილი (ხიზანიშვილი) - 60 წლის, ამისი შვილები: 1. მიხეილი - 23 წლის, 2. გრიგორი - 19 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 11 (6). იოსებ ბესარიონის ძე მეგრელიშვილი - 34 წლის, ამისი შვილები: 1. ზაქარია - 6 წლის, ახალშობილი, 2. ბესარიონი - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 12 (6). გრიგორ ბესარიონის ძე მეგრელიშვილი - 29 წლის, ამისი შვილები: 1. მიხეილი - 4 წლის, ახალშობილი, 2. ივანე - 1 წლის, ახალშობილი.

გრიგორის ძმა დავითი - 27 წლის.

სულ ოჯახში 8 სულია: 4 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 13 (5). იოსებ ესტატეს ძე ზუბაშვილი - 38 წლის, ამისი შვილები: 1. დავითი - 8 წლის, ახალშობილი, 2. ივანე - 1 წლის, ახალშობილი.

იოსების ძმები: 1. სიმონი - 34 წლის, 2. გლახა - 20 წლის, 3. გრიგოლი - 15 წლის, ახალშობილი, 4. ალექსი - 12 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 11 სულია: 7 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 14 (3). გლახა ბესარიონის ძე კერესელიძე - 51 წლის, ამისი შვილები: 1. ზაქარია - 16 წლის, ახალშობილი, 2. გიორგი - 13 წლის, ახალშობილი, 3. დიმიტრი - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 15 (3). პავლე ბესარიონის ძე კერესელიძე - 40 წლის, ამისი შვილი ალექსი - 8 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 16 (3). სოლომონ იოსების ძე კერესელიძე - 35 წლის, ამისი შვილები: 1. იოსები - 8 წლის, ახალშობილი, 2. ზურაბი - 4 წლის, ახალშობილი.

სოლომონის ძმები: 1. გიორგი - 27 წლის, 2. სიმონი - 25 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 17 (4). ესტატე (ანტონ) ანდრიას ძე კერესელიძე - 44 წლის, ამისი შვილები: 1. ანდრია - 14 წლის, ახალშობილი, 2. პეტრე - 5 წლის, ახალშობილი, 3. ალექსი - 1 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 5 სულია: 4 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 18 (4). ნიკალა (ნინია) ანდრიას ძე კერესელიძე - 35 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 19 (4). ნიკალა პეტრეს ძე კერესელიძე - 34 წლის, ამისი ძმიშვილი დიმიტრი - 18 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია: 2 მამრობითი და 8 მდედრობითი სქესის.

კომლი 20 (8). გიორგი გლახას ძე კერესელიძე - 35 წლის, ამისი შვილი ანდრია - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

ზუბალაშვილის საბატონო მიწაზე ცხოვრობდა: 16 კომლი, 61 მამაკაცი, 49 ქალი (110 სული). უმრავლესობა კერესელიძეები იყვნენ - 7 კომლი, 20 მამაკაცი, 20 ქალი (40 სული); ხიზანაშვილები (ხიზანიშვილები) – 4 კომლი, 18 მამაკაცი, 11 ქალი (29 სული); მეგრელიშვილები - 2 კომლი, 7 მამაკაცი, 5 ქალი (12 სული); ხვედიანელები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი (6 სული); ბედიანაშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 6 ქალი (12 სული); ზუბაშვილები - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 4 ქალი (11 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თავად გიორგი მაჩაბლის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 21 (4). შიო ქებაძე - 46 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 22 (4). ალექსი ქებაძე - 39 წლის, ამისი ძმები: სიმონი - 37 წლის, ზაქარია - 32 წლის.

სიმონის შვილი ვასილი - 6 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 23 (5). გაბრიელ დავითის ძე კასრაძე - 38 წლის, ამისი შვილი დავითი - 3 წლის, ახალშობილი.

გაბრიელი ძმა გრიგორი - 21 წლის.

გაბრიელის ბიძაშვილი მოსე - 23 წლის.

სულ ოჯახში 8 სულია: 4 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 24 (1). სოსია ზურაბის ძე ქებაძე - 27 წლის, ამისი ძმა გიორგი - 8 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 25 (2). ბესარიონ ქებაძე - 25 წლის, ამისი ძმა იოსები - 23 წლის,

ბიძაშვილი სოლომონი - 22 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 26 (5). დავით მამულაშვილი - 50 წლის, ამისი ძმიშვილი გიორგი - 12 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 27 (1). საბა სოლომონის ძე ჯირევიშვილი (ჯირკველიშვილი) - 34 წლის, ამისი შვილი გიო - 3 წლის, ახალშობილი.

საბას ძმები: 1. გაბრიელი - 30 წლის, 2. ზაქარია - 25 წლის, 3. ანდრია - 22 წლის, 4. სოლომონი - 15 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 9 სულია: 6 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 28 (1). ზაქარია კოკაური - 45 წლის, ამისი შვილები: 1. დიმიტრი - 10 წლის, ახალშობილი, 2. ანდრია - 8 წლის, 3. სიმონი - 6 წლის.

ზაქარიას ძმა ალექსი - 37 წლის, ამისი შვილი პეტრე - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 10 სულია: 6 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 29 (1). სოსია კოკაური - 48 წლის, ამისი შვილები: 1. დავითი - 13 წლის, ახალშობილი. 2. ივანე - 6 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 30 (1). მიხეილ პეტრეს ძე კოკაური - 33 წლის, ამისი ძმა გიორგი - 15 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 31 (3). გიორგი ადუაშვილი - 45 წლის, ამისი შვილები: 1. პეტრე - 20 წლის, 2. სიმონი - 15 წლის, ახალშობილი, 3. პავლე - 12 წლის, ახალშობილი, 4. ანდრია - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 9 სულია: 5 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 32 (3). ივანე ადუაშვილი - 38 წლის, ამისი შვილები: 1. ანდრია - 5 წლის, ახალშობილი, 2. დავითი - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 33 (3). ზურაბ ადუაშვილი - 34 წლის, ამისი შვილი ფრიდონი - 3 წლის, ახალშობილი.

ზურაბის ძმიშვილები: 1. ზაქარია - 12 წლის, ახალშობილი, 2. სოსია - 10 წლის, ახალშობილი, 3. მიხეილი - 8 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 9 სულია: 5 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 34 (2). ზურაბ ტეტიას ძე კოკაური - 26 წლის, ამისი ბიძაშვილი ნიკალა პავლეს ძე - 10 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

თავად გიორგი მაჩაბლის საბატონო მიწაზე ცხოვრობდა: 14 კომლი, 48 მამაკაცი, 40 ქალი (88 სული). აქედან: ქებაძეები - 4 კომლი, 10 მამაკაცი, 10 ქალი (20 სული); კასრაძეები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი (8 სული); მამულაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი (5 სული); ჯირევიშვილი (ჯირკველიშვილი) – 1 კომლი, 6 მამაკაცი, 3 ქალი (9 სული); კოკაურები - 4 კომლი, 13 მამაკაცი, 9 ქალი (22 სული); ადუაშვილები - 3 კომლი, 13 მამაკაცი, 11 ქალი (24 სული).

თავად ზურაბ ხერხეულიძის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 35 (1). გიგო აბრამა შვილი - 20 წლის, ამისი ძმები: 1. გაბრიელი - 15 წლის, ახალშობილი, 2. იოსები - 10 წლის, ახალშობილი.

გიგოს ბიძაშვილები: 1. გიორგი - 10 წლის, ახალშობილი, 2. ანდრია - 6 წლის, ახალშობილი, 3. დიმიტრი - 23 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია: 6 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ზურაბ ხერხეულიძის საბატონო მიწაზე ცხოვრობდნენ აბრამაშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 1 ქალი (7 სული).

თავად მიხეილ ბორტიშვილი მაჩაბლის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 36 (1). თევდორე (ბერუას ძე) ყასუმაშვილი (ქესუაშვილი - წინა აღწერების მიხედვით) - 60 წლის, ამისი შვილი 1. გიორგი - 31 წლის. გიორგის შვილი სოსე - 1 წლის, ახალშობილი.

გიორგის ძმები: 2. ზაქარია - 24 წლის, 3. იაკობი - 15 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 9 სულია: 5 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 37 (1). ნინია (ბერუას ძე) ყასუმაშვილი (ქესუაშვილი) - 50 წლის, ამისი შვილი ბესარიონი - 22 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 38 (3). სოლომონ ურჯუმელაშვილი - 46 წლის, ამისი ძმები: 1. ანდრია - 23 წლის, 2. სოსია - 16 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

თავად მიხეილ ბორტიშვილი მაჩაბლის საბატონო მიწაზე ცხოვრობდა 3 კომლი, 10 მამაკაცი, 8 ქალი (18 სული); აქედან: ყასუმაშვილები (ქესუაშვილები) – 2 კომლი, 7 მამაკაცი, 7 ქალი (14 სული); ურჯუმელაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი (4 სული).

იაკობ ზუბალოვის (ზუბალაშვილის) მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 39 (1). იოსებ გიორგის ძე ურჯუმელაშვილი - 20 წლის, ამისი ძმა მიხეილი - 18 წლის.

სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 40 (2). ტეტია ნინიას ძე ურჯუმელაშვილი - 42 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 41 (1). ზაქარია კერესელიძე - 37 წლის, ამისი შვილები: 1. მიხეილი - 10 წლის, ახალშობილი, 2. იოსები - 8 წლის, ახალშობილი, 3. დავითი - 3 წლის, ახალშობილი.

ზაქარიას ძმიშვილები: 1. გიორგი - 23 წლის, 2. ალექსი - 15 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 11 სულია: 6 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 42 (1). ანდრია კერესელიძე - 25 წლის, ამისი ძმები: 1. ივანე - 21 წლის, 2. სიმონი - 15 წლის, ახალშობილი, 3. შიო - 10 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 7 სულია: 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

იაკობ ზუბალოვის (ზუბალაშვილის) საბატონო მიწაზე ცხოვრობდა 4 კომლი, 13 მამაკაცი, 12 ქალი (25 სული); აქედან: ურჯუმელაშვილები – 2 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი (7 სული); კერესელიძები - 2 კომლი, 10 მამაკაცი, 8 ქალი (18 სული).

თავად მიხეილ მაჩაბლის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 43 (1). ტეტია სტეფანაშვილი - 55 წლის, ამისი შვილები: 1. იოსები - 28 წლის, 2. ივანე - 23 წლის, 3. გიორგი - 15 წლის, ახალშობილი, 4. დავითი - 10 წლის, ახალშობილი.

ტეტიას ძმა სტეფანე - 50 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია: 6 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 44 (2). ანდრია ზაქარიას ძე სტეფანა შვილი - 15 წლის, ახალშობილი, ამისი ძმა სიმონი - 12 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 45 (6). ივანე ტეტიას ძე ბერანაშვილი (ბერძენაშვილი) – 25 წლის, ამისი შვილები: 1. იასე - 8 წლის, ახალშობილი, 2. პავლე - 6 წლის, ახალშობილი.

ივანეს ბიძაშვილი ზაქარია - 37 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

თავად მიხეილ მაჩაბლის საბატონო მიწაზე ცხოვრობდა 3 კომლი, 12 მამაკაცი, 9 ქალი (21 სული). აქედან: სტეფანაშვილები - 2 კომლი, 8 მამაკაცი, 7 ქალი (15 სული); ბერენაშვილები (ბერძენაშვილები) – 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი (6 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თავად ზურაბ მაჩაბლის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 46 (1). გიორგი ბუზალაძე - 33 წლის, ამისი შვილები: 1. დავითი - 6 წლის, ახალშობილი, 2. ზაქარია - 2 წლის, ახალშობილი.

გიორგის ძმები: 1. ტეტია - 26 წლის, 2. ივანე - 24 წლის, 3. იოსები - 15 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 11 სულია: 6 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

თავად ზურაბ მაჩაბლის საბატონო მიწაზე ცხოვრობდნენ ბუზალაძეები: 1 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი (11 სული).

თავად დავით ბორტიშვილი მაჩაბლის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 47. ბესარიონ დიაკონიშვილი - 40 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილები: 1. ივანე - 8 წლის, ახალშობილი, თევდორე - 5 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

თავად დავით ბორტიშვილი მაჩაბლის მიწაზე ცხოვრობდნენ დიაკონიშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი (6 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

კაპიტან, თავად ელიზბარ ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 48 (-). სოლომონ გიორგის ძე კოზაშვილი - 50 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილი ზაქარია - 1 წლის, ახალშობილი, თევდორე - 5 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 49 (1). დიმიტრი გიორგის ძე კოზაშვილი - 30 წლის, ამისი შვილი იოსები - 3 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 50 (1). გიორგი თამაზის ძე კოზაშვილი - 30 წლის, ამისი ძმა ალექსი - 12 წლის, ახალშობილი.

გიორგის ბიძაშვილი დათო - 13 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 51 (-). ზაქარია ელიზბარის ძე ბედოშვილი - 30 წლის, გაშვებული იყო, ამისი შვილები: ნიკალა - 8 წლის, ახალშობილი, გიორგი - 2 წლის, ახალშობილი.

ზაქარიას ძმები: 1. ივანე - 55 წლის, 2. იაკობი - 45 წლის, 3. გაბო - 35 წლის.

ივანეს შვილები: 1. გიგო - 3 წლის ახალშობილი, 2. დიმიტრი - 2 წლის, ახალშობილი.

იაკობის შვილი სემკა - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 11 სულია: 9 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კაპიტან, თავად ელიზბარ ერისთავის მიწაზე ცხოვრობდ 4 კომლი, 16 მამაკაცი, 7 ქალი (23 სული). აქედან: კოზაშვილები - 3 კომლი, 7 მამაკაცი, 5 ქალი (12 სული); ბედოშვილები - 1 კომლი, 9 მამაკაცი, 2 ქალი (11 სული).

სულ ვარიანში ცხოვრობდა 61 კომლი, 207 მამაკაცი, 179 ქალი (386 სული); აქედან: სახელმწიფო მიწაზე მცხოვრები გლეხები - 7 კომლი, 21 მამაკაცი, 23 ქალი (44 სული); საეკლესიო მიწაზე მცხოვრები გლეხები - 3 კომლი, 12 მამაკაცი, 15 ქალი (27 სული); საბატონო მიწაზე მცხოვრები გლეხები - 51 კომლი, 184 მამაკაცი, 141 ქალი (325 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 199, ფურც. 331-350).**

1873 წლის აღწერის მონაცემებით, *სახელმწიფო მამულზე მცხოვრები* გლეხების რაოდენობა მკვეთრადაა გაზრდილი - 17 კომლი, 46 მამრობითი სქესის და 57 მდედრობითი (101 სული), მათ შორის აბულაძეები, რომლებიც წინა აღწერებში საეკლესიო ყმების რიცხვში გვხვდებიან - 6 კომლი, 14 მამაკაცი, 16 ქალი (30 სული); ქებაძეები - 2 კომლი, 4 მამაკაცი, 11 ქალი (15 სული); სირბილაძეები - 3 კომლი, 10 მამაკაცი, 12 ქალი (22 სული); ბერძენაშვილები - 2 კომლი, 9 მამაკაცი, 7 ქალი (16 სული); ფაცინაშვილები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი (3 სული); ზანგალაძეები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი (3 სული); სოფელ არაშენდიდან გადმოსახლებული პაპელიშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი (7 სული); სოფელ გორიჯვრიდან გადმოსახლებული გოგინაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი (7 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

სოლომონ, ალექსანდრე და კონსტანტინე კვალიევების (კვალიაშვილების) საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ დროებით ვალდებული გლეხები: არჩუაძეები - 2 კომლი, 4 მამაკაცი, 1 ქალი (5 სული). მოგვიანებით ერთ-ერთი კომლი (სვიმონ გაბრიელის ძე არჩუაძის, რომლიც არაშენდიდან იყო გადმოსახლებული) წაშლილია. ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

კნეინა ქეთევან ამირეჯიბის საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ: არეშიძეები - 2 კომლი, 6 მამაკაცი, 7 ქალი (13 სული);

იგორ ივანეს ძე ზუბალოვის (ზუბალაშვილის) საბატონო მამულზე ცხოვრობდა 23 კომლი, 62 მამაკაცი, 51 ქალი (113 სული). აქედან: ხვედიანელები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი (5 სული); ბედიანაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 1 ქალი (4 სული); ხიზანაშვილები (ხიზანიშვილები) – 8 კომლი. 24 მამაკაცი, 14 ქალი (38 სული); მეგრელიშვილები - 3 კომლი, 9 მამაკაცი, 7 ქალი (16 სული); ზუბაშვილები - 2 კომლი - 8 მამაკაცი, 6 ქალი (14 სული); კერესელიძეები - 8 კომლი, 15 მამაკაცი, 21 ქალი (36 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თავად გიორგი მაჩაბლის საბატონო მამულზე ცხოვრობდა 16 კომლი, 53 მამაკაცი, 33 ქალი (86 სული). აქედან: ქებაძეები - 5 კომლი, 14 მამაკაცი, 9 ქალი (23 სული); კასრაძეები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი (6 სული); მამულაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი (3 სული); ჯირკველიშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 3 ქალი (9 სული); კოკაურები - 4 კომლი, 13 მამაკაცი, 6 ქალი (19 სული); ადუაშვილები - 4 კომლი, 15 მამაკაცი, 11 ქალი (26 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თავად ზურაბ ხერხეულიძის საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ აბრამაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი (3 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თავად მიხეილ ბორტიშვილი მაჩაბლის საბატონო მამულზე ცხოვრობდა 5 კომლი, 13 მამაკაცი, 12 ქალი (25 სული). აქედან: ყასუმაშვილები (ქესუაშვილები) - 4 კომლი, 10 მამაკაცი, 6 ქალი (16 სული); ურჯუმელაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 6 ქალი (9 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

იაკობ ზუბალოვის (ზუბალაშვილის) მიწაზე ცხოვრობდა 6 კომლი, 24 მამაკაცი, 22 ქალი (46 სული). აქედან: ურჯუმელაშვილები - 3 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი (11 სული); კერესელიძეები - 3 კომლი, 18 მამაკაცი, 17 ქალი (35 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თავად მიხეილ მაჩაბლის საბატონო მამულზე ცხოვრობდა 6 კომლი, 18 მამაკაცი, 17 ქალი (35 სული). აქედან: სტეფანაშვილები - 3 კომლი, 9 მამაკაცი, 7 ქალი (16 სული); ბერძენაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 4 ქალი (6 სული); ბუზალაძეები - 2 კომლი, 7 მამაკაცი, 6 ქალი (13 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თავად დავით მაჩაბლის საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ დიაკონაშვილები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 1 ქალი (2 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თავად ელიზბარ ერისთავის საბატონო მამულზე ცხოვრობდა 5 კომლი, 11 მამაკაცი, 8 ქალი (19 სული). აქედან: კოზაშვილები - 4 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული); ბედოშვილები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი (11 სული).

სულ სოფელ ვარიანში ცხოვრობდა 82 კომლი, 237 მამრობითი და 215 მდედრობითი სქესის (452 სული).

აღწერას ახლავს მინაწერი: „ამორჩეულნი სოფლის ვარიანისა ნისა ალექსა არაშიძე, იოსებ ხიზანაშვილი, ივანე კერესელიძე, დიმიტრი კოკაური, ალექსა ქებაძე, რადგანაც ამ

პირთა წერა არ იცოდნენ ამათის თხოვნით და ხელ ჩამორთმევით ხელს ვაწერ სოფლი(ს) ვარიანის მღვდელი ილარიონ ქუჩიკოვი, გლეხი გიორგი კასრაძე რადგანაც წერა არ იცოდნენ და ამის თხოვნით ხელს ვაწერ ვარიანის მღვდელი ილარიონ ქუჩიკოვი“.

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, გორის მაზრის ვარიანის საზოგადოებაში შემავალი ამავე სახელწოდების სოფლის მოსახლეობა 120 კომლამდე იყო გაზრდილი, 300 მამაკაცი იყო და 291 ქალი (591 სული). ამ დროისთვის ვარიანში ოსები არ ფიქსირდებიან, ისევე როგორც საზოგადოებაში შემავალ სხვა სოფლებში (არაშენდა, ახალდაბა, ოთარშენი, თედოწმინდა, ტინისხიდი). ტრადიციულად, სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები იყვნენ, 120-დან 114 კომლი, 285 მამაკაცი, 285 ქალი (570 სული), სომხებად მითითებულია 6 კომლი, 15 მამაკაცი, 6 ქალი (21 სული).

წინა აღწერებისაგან განსხვავებით, წყაროში საუბარია მამაკაცებზეც და ქალებზეც, აღწერაში მამრობითი სქესის წარმომადგენლებს სამი ასაკი აქვთ მითითებული: „1. აღნიშნავს წლოვანებას წინა 1873 წლის აღწერის მიხედვით; 2. „ვარაუდით, ასე შეხედვით რამდენის წლისა არის“; 3. „წლოვანობა, რამდენისა არის 1 იანვარს, 1886 წლისა“ **(Свод, 1893: 46).**

1860 და 1873 წლის აღწერებში გოგებაშვილებს ვერ ვხვდებით. ცალკე კომლებად არც აქ მაცხოვრებელი თავადები იყვნენ აღრიცხულნი. 1886 წელს ეს დანაკლის შევსებულია:

გორის მაზრის სოფელ ვარიანი.

(ფრჩხილებში მითითებული - (ტირე) მიგვანიშნებს, რომ კომლი წინა აღწერაში გამოტოვებული იყო):

კომლი 1 (-). ზაქარია ზურაბის ძე მაჩაბელი - დაბადებული 1841 წლის 28 მარტს, 44 წლის, 9 თვის და 2 დღის.

ამისი შვილები: ვლადიმერი - დაბადებული 1877 წლის 10 ივნისს, 8 წლის, 6 თვის და 20 დღის,

ფარვენ - დაბადებული 1883 წლის 15 აგვისტოს, 2 წლის, 4 თვის და 15 დღის.

ზაქარიას მეუღლე ქეთევან გიორგის ასული - 26 წლის.

მათი ქალიშვილი სოფია - 6 წლის, ახალშობილი (აღწერაში ვაჟები და ქალიშვილები ცალ-ცალკე არიან მითითებულნი, შვილებში იგულისმებოდნენ ვაჟები, ხოლო ქალიშვილებს ცალკე წერდნენ, როგორც თავადების, ისე გლეხების შემთხვევაში).

სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 2 (-). ვასილ ზურაბის ძე მაჩაბელი - დაბადებული 1856 წელს, 30 წლის,

ამისი შვილი ალექსანდრე - დაბადებული 1884 წელს, 2 წლის,

ძმა დიმიტრი - დაბადებული 1860 წელს, 26 წლის,

ძმიშვილი იასონი - დაბადებული 1886 წლის 30 აპრილს.

ვასილის მეუღლე ქეთევან გაბრიელის ასული - 25 წლის,

ქალიშვილი ანნა - 6 წლის,

რძალი სოფია ნიკალას ასული - 20 წლის,

ძმიშვილი დარია ივანეს ასული - 5 წლის.

რძალი მარია რევაზის ასული - 20 წლის.

სულ ოჯახში 9 სულია: 4 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 3 (-). მიხეილ დავითის ძე მაჩაბელი - დაბადებული 1843 წლის 28 ნოემბერს, 42 წლის, 1 თვის და 2 დღის,

ამისი შვილები: გრიგოლი - დაბადებული არ იყო, 12 წლის, 12 წლის,

ივანე - 10 თვის.

მეუღლე ეკატერინა გრიგოლის ასული - 27 წლის,

ქალიშვილი მარია - 13 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 4 (-). დიაკონი ანდრია სიმონის ძე გოგებოვი (გოგებაშვილი) - დაბადებული 1842 წლის 31 ნოემბერს, 43 წლის, 1 თვის და 2 დღის,

ამისი შვილი ალექსანდრე - დაბადებული 1879 წლის 15 მარტს, 6 წლის, 9 თვის და 15 დღის,

ანდრიას მეუღლე ეკატერინა თევდორეს ასული - 39 წლის,

ქალიშვილები: ნინა - 3 წლის, ახალშობილი,

მარია - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 5 (-). დიაკონი ზაქარია სიმონის ძე გოგებოვი (გოგებაშვილი) - 39 წლის,

ამისი შვილი ივანე - დაბადებული 1883 წლის 22 აპრილს, 8 თვის, 8 დღის.

ზაქარიას მეუღლე თეკლა მიხეილის ასული - 30 წლის.

ქალიშვილები: ელისაბედი - 10 წლის, ახალშობილი,

ზინოვია (ზინაიდა) - 6 წლის, ახალშობილი,

მაგდანა - 4 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 6 სულია: 2 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 6 (-). ნიკალა მაჩაბლის ქვრივი ტასია ბეჟანის ასული - 60 წლის.

სულ ოჯახში 1 სულია მდედრობით სქესის.

კომლი 7 (-). ივანე გოგებოვის (გოგებაშვილის) ქვრივი ნინა ნიკალას ასული გოგებოვი (გოგებაშვილი) - 55 წლის,

ამათი ქალიშვილი ანა - 16 წლის.

სულ ოჯახში 2 სულია, მდედრობითი სქესის.

ოჯახი 1870 წლიდან ცხოვრობდა გორში.

მაჩაბლები 4 კომლი იყო, 10 მამაკაცი, 9 ქალი (19 სული); გოგებაშვილები 3 კომლი, 4 მამაკაცი, 9 ქალი. ოღონდ ერთი კომლი ივანე გოგებაშვილის ქვრივის ნინა ნიკალას ასული გოგებაშვილისა, ქალიშვილ ანასთან ერთად 1870 წელს გორში გადასახლებულა.

მაჩაბლებისა და გოგებაშვილების გვერდით, ცხადია, 1886 წლის აღწერაშიც გვხვდებიან ვარიანში ოდითგანვე მკვიდრი ყმა-გლეხების შთამომავლები, რომელთა კომლობრივი რაოდენობა თანდათან იზრდებოდა.

ვერც XIX საუკუნის პირველი ნახევრის და ვერც 1860-1873 წლების კამერალურ აღწერებში გოგებაშვილებს ვერ ვხვდებით, თუმცა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, 1841 წლით დათარიღებული ერთ ისტორიული დოკუმენტში (რომლის თავფურცელიც გვამცნობს, რომ არის *„მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო იმერეთის უწმინდესის მმართებელის სინოდის კანტორითგან. გორის უეზდის სოფლის ვარიანის ღ˜თისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიასა შინა. ჩასაწერელად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა“)* სვიმონ იოანეს ძე გოგებაშვილი მოხსენიებულია, როგორც სოფლის მღვდელი, რომელიც აღასრულებს ქორწინებისა და ნათლისღების საიდუმლოებებს, ათქმევინებს აღსარებას, აზიარებს და მიცვალებულებს „აღუგებს“ ანდერძს **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247).**

1886 წლის აღწერაში მოხსენიებული ოჯახის უფროსები, სასულიერი პირები: ანდრია, ზაქარია და ივანე იაკობის ძმები იყვნენ.

აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ იაკობ გოგებაშვილს ჰყავდა ექვსი ძმა და ორი და. დედამისი მაგდანა კალმახელიძის ქალი იყო სოფელ დირბიდან. მწერლის ოჯახის წევრების საფლავები ღვთისმშობლის ეკლესიიდან მოშორებითაა. იაკობის მშობლების საფლავის ეპიტაფიები ცხადყოფს, თუ როგორ პატივს სცემდა იგი თავის დედას და მამას:

„ეს ქვა დამადო თავისს ძვირფასს

დედას შვილმა იაკობმა(.)

(სამხრეთიდან)

მოიხსენიე(,) უფალო(,) სასუფეველსა შენსა(,)

ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა(,) სოფლის

ყ(ოვლა)დ წმინდის ღუთის მშობლის ეკლესიის

მღუდლის სვიმონ

(ჩრდილოეთიდან)

გოგეგაშვილის მეუღლე მაგდან(,) გარდაცვა(-)

ლებული ჩყოგ-სა წლის ნოემბრის ე-სა დღესა

შობითგან ია-სა წლისა(.). აღმომკითხველნო(,)

შენდობა უბრძანეთ(!)“.

იაკობის დედა გარდაცვლილა 1873 წლის 5 ნოემბერს, 61 წლის ასაკში. საფლავის ქვაზე მხატვრული ჯვარია გამოსახული.

მაგდანას გვერდით, ასეთივე ქვაზე ზემოდან უწარწერო ჯვარია, სამხრეთიდან კი იაკობის მამის ეპიტაფიაა:

„ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს გვამი სოფლის

ვარიანის ყ(ოვლა)დ წმინდის მღუთის მშობლის

ეკლესიის მღუდლის სვიმონ გოგეგაშვილისა(.)

რომელიც

(ჩრდილოეთიდან)

მიცვალა ამიერ სოფლით ჩყით-სა წელსა დეკემბ(-)

რის ბ-სა დღესა. შობიდგან იდ-წლისა(.)აღმამ(-)

კითხველნო(,) შენდობა უბრძანეთ(!) ეს ქვა და(-)

ადო თავისს ძვირფასს მამას შვილმა იაკოფმა(.)“

იაკობის მამა გარდაცვლილა 1869 წლის 2 დეკემბერს, 64 წლის ასაკში.

მაგდანას და სვიმონის საფლავების ახლოს ივანე გოგეგაშვილის საფლავია წარწერით:

„მომიხსენე(,) უფალო(,) ლოდსა ამასა ქვეშე მდე(-)

ბარე ვარიანის პ(რ)იჩედნიკი ივანე გოგეგაშვილი(.)

გარდავიცვალე ოცდაცხრამეტი წლისა(.) აღმომ(-)

მკითხველნო(,) გთხოვთ შენდობა მიბრძანეთ(!) ჩყიზ-სა

წელსა მარტის ივ დღესა.“ (1867 წლის 16 მარტი).

როგორც ი. მეგრელიძე აღნიშნავს, ივანე იყო იაკობის ძმა, მას უნდა შეეწყო ხელი იაკობისთვის განათლების მიღებაში და მადლიერების ნიშნად „საფლავზე ეს ქვა დადოო“. **(მეგრელიძე, 2024: 81).**

გოგებაშვილების საგვარეულო სასაფლაოზეა წყაროში მოხსენიებული იაკობის ძმების, მთავარდიაკვნების: ანდრია და ზაქარია (შაქრო) გოგებაშვილების საფლავის ქვებიც. ანდრიას მეუღლის ეკატერინა თევდორეს ასული გოგებაშვილის საფლავის ეპიტაფიიდან ვიგებთ, რომ იგი გარდაცვლილა 1897 წლის 28 იანვარს, 47 წლის ასაკში. მისი საფლავის ქვაც იაკობის მიერ ყოფილა ნაყიდი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იაკობის მამას სიმონს ვაჟიშვილ ანდრიასთან ერთად ვარიანში აუშენებია ორსართულიანი ქვითკირის შენობა ღია აივნით. შემდგომში იაკობის ძმას ზაქარიას ერთი ოთახი მიუმატებია. სწორედ ამ სახლში დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს დიდი პედაგოგი...

1886 წლის აღწერიდან ასევე შესამჩნევია მოსახლეობის ხშირი მიგრაცია ქართლის სხვადასხვა სოფლებში.

ასე მაგალითად:

ივანე გრიგორის ძე ხიზანაშვილი (ხიზანიშვილი) 1871 წლიდან თბილისში ცხოვრობდა.

ივანე დიმიტრის ძე არჩუაძე მეუღლესთან - ეკატერინა (კეკე) გიორგის ასულთან და შვილებთან: დავითთან, ეკატერინესთან და დარიასთან ერთად ბოლო 10 წლის მანძილზე დასახლებულა გორის მაზრის სოფელ ქურთაში;

გიგო ესტატეს ძე ბერძენაშვილი - გორის მაზრის სოფელ ახალდაბაში;

იოსებ ესტატეს ძე ბერკაცაშვილი - გორის მაზრის სოფელ თედოწმინდაში;

თევდორე აბულაძის ქვრივი მარია მოსეს ასული - გორის მაზრის სოფელ თედოწმინდაში; ანნა დიმიტრის ასული სირბილაძე - გორის მაზრის სოფელ ქვემო ხვედურეთში;

გაბრიელ ზაქარიას ძე არჩუაძე, მისი ძმა გიორგი და მათი დედა სოფია შიოს ასული - ცხინვალში;

იაკობ სიმონის ძე ქებაძე მეუღლესთან გალია ზაქარიას ასულთან, დასთან მაგდანა სიმონის ასულთან და შვილებთან: ივანესთან, ანდრიასთან, ელისაბედთან და ანნასთან ერთად - გორის მაზრის სოფელ არბოში (1885 წლიდან);

იგორ იოსების ძე ჯირკველაძე მეუღლესთან ტასიასთან და შვილებთან: ალექსანდრესთან და ნინასთან ერთად - თბილისში;

ასევე თბილისში დამკვიდრებულა ალექსი თამაზის ძე კოზაშვილი მეუღლე ეფროსინესთან და ქვრივ ბიცოლასთან ნატალია ელიოზიშვილთან ერთად.

იაკობი რუსულ კამერალურ აღწერებში ვარიანის მკვიდრთა შორის მოხსენიებული არ არის. იგი, როგორც ვიცით, თბილისში მოღვაწეობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მშობლიურ სოფელს მზრუნველობას არ აკლებდა. 1900 წელს, მან საკუთარ სახლში ორკლასიანი სკოლა გახსნა, სადაც მწერლის ძმიშვილი ალექსანდრე ანდრიას ძე გოგებაშვილი მოღვაწეობდა. ალექსანდრეც იქვე ცხოვრობდა, მისი სახლი იაკობის სახლის გვერდით ყორით შემოღობილ ეზოში იდგა **(მეგრელიძე, 2024: 78).** სკოლისათვის საჭირო ნივთებისა და ხელფასის ხარჯებს იაკობი თვითონ იხდიდა და ვარიანელ ბავშვებს ყოველმხრივ უწყობდა ხელს, რომ უსასყიდლოდ შეესწავლათ წერა-კითხვა.

1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის დროს სკოლა დახურეს, მაგრამ 1911 წელს ისევ გაიხსნა და მასწავლებლად დაინიშნა ქრისტინე ბიბილური-კასრაძისა, რომელიც 1916 წლამდე მუშაობდა.

მოგვიანებით, გოგებაშვილისეული სახლისთვის ორი ოთახი მიუშენებიათ და 1930 წელს კიდევ ერთხელ გაუხსნიათ სკოლა **(საქართველოს ისტორიის... 1990: 66).**

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ვარიანის ძველი სასაფლაოს ეპიტაფიები შეუსწავლია ლიახვის ხეობის წარსულის მკვლევარს, პროფესორ იოსებ მეგრელიძეს, მათგან აღსანიშნავია XIX საუკუნის ვარიანელების საფლავის ქვების რამდენიმე წარწერა:

ივანე სტეფანაშვილის (1865 წელი) -

„ქ. მომიხსენე მე(,) უფალო(,) ღოდსა ამასა

ქვეშე მდებარე ივანე სტეფ(-)

ანაშვილი(.) გარდავიცვალე ქ (?)

შენდობა გვიბრძანეთ(.)“

იქვე უთარიღო წარწერაა *„სტეფანიშვილი ს დავითის მეუღლე ანა“*- სი. როგორც ვხედავთ, გვარს წერდნენ სტეფანაშვილადაც და სტეფანიშვილადაც. აღწერებში კი პირველ ვარიანტს უთითებდნენ.

1833 წლის 20 სექტემბერს, 80 წლის ასაკში გარდაცვლილა ვასილ ქებაძე.

„მომიხსენიე მე(,) უფალო(,) საფლავსა ამასა შინა

მდებარე ღვთის მონა ვასილ ქებაძე(.) გარდავი(-)

ცვალე სოფლიდამ წლისა პ(,) აღმომკითხველნო,

შენდობა მიბრძანეთ! წელსა ჩყლგ(,) ენკენისთ(-)

ვის კ დღესა“.

ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთით ქვაზე გამოქანდაკებული ყოფილა ქალი, რომელსაც ეპიტაფია ასულის მაგივრად ძედ იხსენიებს - *„მაგდანა გიგუას ძე(!) ბუზალაძე“.*

1875 წელს გარდაცვლილა ვანო კერესელიძე.

1872 წელს გარდაცვლილ ვინმე სუბაშვილის (ზუბაშვილის) მეუღლეს, თარიღი ციფრებითაა აქვს მითითებული:

„მომიხსენიე(,) უფალო(,)

სუბაშვილის მეუღლე(.)

ვითხოვ შენდობას(.) 1872“.

ეკლესიის აღმოსავლეთით დიდ ქვაზე ოთარ კერესელიძისა და მისი მეუღლის წარწერაა:

„აქა განისვენებენ კერესელიძე ოთარ და თავისი

მეუღლე მარიამ(.) მხილველთ გთხოვთ თი(-)

თო პირი შენდობა ბრძანოთ(,) წელსა ჩყმთ“ (1849).

1874 წლის ოქტომბერში გარდაცვლილა ზაქარია კერესელიძე:

„მე საწყალი(,) განჩინებისა ღვთისათა მივე(-)

ეც მიწა მიწადვე.

და დავუტევე მგლოვიარედ საყვარელნი შვილნი(,)

პატრონი ჩემი და წამკითხველთაგან

(წარწერა გრძელდება ჩრდილოეთ მხარეს)

შენდობა(ს) ველი(.) შენ, სახიერო უფალო(,) მო(-)

მიხსენი(ე) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა(.) ზაქარია

კერესელიძე აღვ(-)

სრულდი ჩყოდ წ(,) ღვინობისასა.“

1901 წელს რაჟდენ აბულაძის საფლავის ქვაზე წერენ რაზდენს...

არაერთი ღირსეული მამულიშვილის სახელი შემორჩა ვარიანელთა ხსოვნას, მათ შორის ვანო გიორგის ძე მეგრელიშვილის, რომელიც დაუმარცხებელი ფალავანი ყოფილა და რაც მაშინ ასრე რიგად ფასდებოდა, არც ღვინის სმაში ჰყოლია ბადალი. იგი გარდაცვლილა 1908 წლის 7 იანვარს, 40 წლის ასაკში, რასაც საფლავის ქვის წარწერა გვამცნობს:

„ამა ლოდსა ქვეშა მდებარე ვარ ვანო

გიორგის ძე მეგრელიშვილი(.)..

(ქვაზე ჩრდილოეთიდან)

კაცი(,) რომელმაც დავტოვე ცოლი ს(ა)მი შვილითა(.)

წლოვანებით 40 წლისა(.) გთხომთ(,) წამკითხველ(-)

ნო(,) შენდობას(.) მივიცვალე იანვრის ზ-ს 1908 წელსა“ **(მეგრელიძე, 2024: 79-82).**

შიდა ქართლის ამ უძველესი ქართული სოფლის შესახებ არაერთი გადმოცემაა ჩვენამდე მოღწეული. ნიკოლოზ ივანეს ძე ბერკაცაშვილის მონათხრობით, ვარიანი ორ უბნად იყოფოდა. „მთავარი სოფელი“ ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით ყოფილა, სადაც უცხოვრიათ სტეფანიშვილებს, ბუზალაძეებსა და ხვდიანელებს. თურქებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს ერეკლეს ვარიანელებიც ახლდნენ მაჩაბლის მეთაურობით. მეფეს მოსწონებია მათი სიჩაუქე და რით დაგაჯილდოვოო - უკითხავს მაჩაბლისთვის. ვარიანის ბოძება უთხოვია თავადს. დაინტერესებულა ამ სოფლით მეფე და ორასკაციანი ამალით ჩაბრძანებულა სტუმრად. ტრადიციული ქართული გულუხვობა გამოუჩენიათ მასპინძლებს. სტეფანიშვილებმა, ბუზალაძეებმა და ხვდიანელებმა სამი დეკეული დაკლეს და 18 კოკიანი ქვევრი მოხადესო. ერეკლეს „ქართული მწვანე“ მოსწონებია და ამ ჯიშის ვაზის გამრავლება უბრძანებია **(ახლოური, 2025 ა: 108).**

ეკლესიის გვერდით, სასაფლაოსთან ახლოს, კუნელის ხის ძირში საზედაშე ღვინისთვის განკუთვნილი ქვევრი ჰქონიათ ძველ ვარიანელებს. მთაში ვაზი არ ჰქონდათ და არც მაჭრობის შესახებ იცოდნენ რამე. ჩამოუვლია ერთხელ მთიელ კაცს ქვევრის სიახლოვეს, მაჭრის დუღილის ხმას დაუფიქრებია და მხლებლებისთვის უთქვამს: „იქ არ მიხვიდეთ, მკვდრები ბუტბუტებენო“.

ყურადღებას იქცევს სოფლის სხვა, ისტორიული ხასიათის ტოპონიმებიც; თამარ მეფის სახელთან აკავშირებენ „დედოფლის მინდორს“, რომელიც ორ ფრონეს შორისაა მოქცეული და ვარიანიდან 6 კილომეტრის დაშორებითაა. მინდორთან ახლოს რამდენიმე პუნქტს „დედოფლის ჯარის საფლავებს“ უწოდებდნენ. ბათუმიდან და ბორჯომიდან მომავალი გზა დედოფლის მინდვრის, ვარიანისა და ნაჭარმაგევის გავლით თბილისს უერთდებოდა.

დედოფლის მინდვრიდან ვარიანამდე სამი „ნაცარგორა“ იყო. პირველი საქაშეთთან, ციხის აღმოსავლეთით, ლელისთავის რუზე. საბჭოთა პერიოდში (1930-1931 წლები) იგი გუთნით გაუსწორებიათ. მეორე ნაცარგორა საქაშეთის აღმოსავლეთით დიასამიძის ხოდაბუნშია, სადაც კედლის დაშლის შემდეგ ადამიანის ჩონჩხებს მიაკვლიეს. მესამე ნაცარგორა წყაროს პირდაპირ, ფრონედან 4 კმ.-შია.

ღვთისმშობლის ძველი ეკლესიის ახლოს, სასაფლაოს სამხრეთ აღმოსავლეთით ნანგრევების კვალი იკვეთება, რომლის სიგრძე 32 მეტრს აღწევს, სიგანე - 20 მეტრს. ამ ადგილს მისრიელაანთ ნადარბაზევს უწოდებენ და ფიქრობენ, რომ იქ მისრიელაშვილების სასახლე უნდა მდგარიყო.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ვარიანში 258 კომლს უცხოვრია (1865 წელს - 61 კომლს), უმეტესობა მათგანი - 245 ოჯახი კოლმეურნე იყო. იმ დროისთვის, სოფელში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლის გვერდით იდგა საავადმყოფოს შენობა, რომელიც თედოწმინდიდან ნიქოზამდე მცხოვრებ მოსახლეობას ემსახურებოდა **(მეგრელიძე, 2024: 77-78).**

XXI საუკუნის დასაწყისში (2002 წლის აღწერის მონაცემებით) ვარიანში 1959 მოსახლე ყოფილა, 960 მამაკაცი და 999 ქალი. 2014 წლის აღწერის მიხედვით კი ეს რიცხვი 1469-მდეა შემცირებული - 730 მამაკაცია და 739 ქალი **(ახლოური, 2025 ა: 108).**

დასკვნები:

ვარიანის შესახებ პირველი ცნობებს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვხვდებით, თუმცა აქ მოსახლეობა გაცილებით ადრე დამკვიდრდა, რასაც აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვარიანის კოშკის ახლოს აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო ნივთები, მათ შორის წითლად გამომწვარ უხეშკეციანი თიხის ჭურჭელი, ქვევრის ნამტვრევები და სხვა. ნასოფლარის ნაშთები იკვეთება სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფუტუროებში, სადაც ასევე მიაკვლიეს თიხის ჭურჭლის ნამტვრევებსა და დიდი ქვევრის ფრაგმენტებს.

ვარიანში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებასთან დაკავშირებით პირველ ვრცელ და სრულყოფილ ინფორმაციას თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში ვეცნობით, რომლის მიხედვით ვარიანი ექვემდებარებოდა საციციანოს. სოფელში ცხოვრობდა 33 კაცი, რომელთა მფლობელობაშიც იყო ოცი დღის სამეუფო ვენახი და 20 დღის მიწა.

ისტორიულად ვარიანში ყმები და მამულები ეკუთვნოდათ: მაჩაბლებს, ურბნელ ეპისკოპოსს, ამილახვრებს, ფალავანდიშვილებს, თულაშვილებს, აზნაურ ვასილ კობახიძეს, სოლომონ მგალობელს, მეთოდი მდივანბეგს. ვარიანში სამთავისის ეკლესიის ყმებიც იყვნენ, გვარად აბულაძეები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვარიანში ცხოვრობდნენ საეკლესიო, სახაზინო და საბატონო ყმები. მებატონეები იყვნენ: სოლომონ, ალექსანდრე და კონსტანტინე კვალიაშვილები, კნეინა ქეთევან ამირეჯიბი, იგორ და იაკობ ზუბალაშვილები, გიორგი, ზურაბ და მიხეილ მაჩაბლები, ზურაბ ხერხეულიძე, მიხეილ და დავით ბორტიშვილ მაჩაბლები, კაპიტანი, თავადი ელიზბარ ერისთავი...

1860 წლის კამერალური აღწერის მონაცემებით ვარიანში ცხოვრობდა 61 კომლი, 207 მამაკაცი, 179 ქალი (386 სული); 1873 წელს - 82 კომლი, 237 მამაკაცი და 215 ქალი (452 სული). 1886 წელს - 120 კომლი, 300 მამაკაცი და 291 ქალი (591 სული). საკვლევ პერიოდში ვარიანში მკვიდრობდნენ: მაჩაბლები, გოგებაშვილები, აბულაძეები, არეშიძეები, სტეფანაშვილები (სტეფანიშვილები), კოკაურები, აბრამაშვილები, ყასუმაშვილები, დიაკონიშვილები (დიაკვნიშვილები), კერესელიძეები, ზანგალაძეები, კოზაშვილები, სირბილაძეები, ადუაშვილები, მამულაშვილები, ბედიანაშვილები, ზუბიაშვილები

(ზუბაშვილები), მეგრელიშვილები, ხიზანაშვილები (ხიზანიშვილები), ქებაძეები, ურჯუმელაშვილები, ბერძენაშვილები (ბერძენიშვილები), ბუზალაძეები, ფაცინაშვილები, ჯირკველიშვილები, ბედოშვილები, პაპელიშვილები, გოგინაშვილები და სხვები...

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ახლოური, დ. (2025 ა). *სოფელ ვარიანის მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში,* საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, № XIII.

ახლოური, დ. (2025 ბ). *ქსნის, ლეხურისა და მეჯუდის ხეობების მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში,* თბილისი: გამომცემლობა „საარი".

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. (2009). *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი,* წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბილისი.

მეგრელიძე, ი. (2024). *სიძველეები ლიახვის ხეობაში,* თბილისი.

საქართველოს ისტორიის... (1990). *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5,* თბილისი.

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 199. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 199.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1243. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 1243.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 1247. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1247.*

ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. (1984). *ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.),* ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნ. დუნდუამ, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

Свод. (1893). *Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г.* тифлис.

REFERENCES

akhlouri, d. (2025 a). *sopel varianis mosakhleoba XIX saukunis pirvel nakhevarshi [The Population of the Village of Variani in the First Half of the 19th Century],* saertashoriso sametsniero jurnali „istoria, arkeologia, etnologia“ [internacuional scientific journals „history, archaeology, ethnology”], № XIII.

akhlouri, d. (2025 b). *Ksnis, lekhurisa da mejudis kheobebis mosakhleoba XIX saukunis 60-ian tslebshi [the population oh the ksani, lekhuri and mejudiin the middle oh XIX the century in the 60 s]* tbilisi: ,,saari".

bagrationi, ioane. (1986). *kartl-kakhetis aghwera [description of kartl-kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [prepared for publication with stidy and indices by tina enukidze and guram bedoshvili]. tbilisi: science publishing.

bat'onishvili vakhusht'i. (1973). *aghtsera sameposa sakartvelosa [description of the kingdom of georgia].* kartlis tskhovreba [georgian chronicles]. IV. teksti dadgenili kvela dziritadi khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier [the text is established according to all major manuscripts by s. kaukhchishvili]. tbilisi: metsniereba.

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [guldenstedt's trip to georgia]. (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [the German text was published with a georgian translation and research was added by gia gelashvili]. I. tbilisi.

tbilisis vilaietis didi davtari. (2009). *1728 tslis tbilisis vilaietis didi davtari [the great book oh Tbilisi province, 1728],* tsignil I, osmaluri teksti kartuli targmanit, shesavlit, gamokvlevita da faqsimileebit gamosacemad moamzades akad. sergi jikiam da prof. nodar shengeliam [akad. s. jikia and prof. n. shengelia added notes and published texts]. Tbilisi.

megrelidze, i. (2024). *liakhvis kheobis sidzveleebi [antiquities of the liakhvi gorge], tbilisi.*

sakartvelos istoriis… (1990). *sakartvelos istoriisa da kulturis dzeglta aghweriloba [Description of historical and cultural monuments of Georgia].* t., 5. Tbilisi.

seasca, f. 254, Ins. 1, Case 199. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 199 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 199].*

seasca, f. 254, Ins. 1, Case 1243. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1243 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 1243].*

seasca, f. 254, Ins. 1, Case 1247. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1247 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 1247].*

kartul-sparsuli istoriuli sabutebi. (1984). *kartul-sparsuli (orenovani) istoriuli sabutebi (XVI-XVIII), [georgian-persian bilingual historical documents (XVI-XVIII)].* teqsti daadgina, targmani, komentari, leqsikioni da sadziebeli daurto n. donduam [n. dondua added notes and published texts]. tbilisi: metsniereba.

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [monuments of economic history of georgia], (XIII-XIX), II.* tbilisi: metsniereba.

Свод. (1893). *Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г.* тифлис.